ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N66

2024 წელი; 2 დეკემბერი, 10:30 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
დავით ფარცვანია

სხდომის თავმჯდომარე:
ნინო ვარდოსანიძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე საკითხი.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, მ/წლის 26 ნოემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს პარლამენტის აპარატმა მომართა წერილობით (დოკუმენტის N7021/2-7/24) (საკრებულოში რეგისტრაციის N02-032433150-03) და წარმოადგინა საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 25 ნოემბრის დადგენილება (N3-Iმს-XIმპ) „საქართველოს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ" და თანდართული 2024 წლის 26 ოქტომბერს არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა ერთიანი სია. აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მიერ ცნობილ იქნა საკრებულოს წევრების: ირაკლი ხელაძის (კომისიის თავმჯდომარე), აკაკი ალადაშვილის, ვლადიმერ ბოჟაძის, ზაზა თავაძის, სოფიო ჯაფარიძის, საბა ბუაძის, ცოტნე კობერიძის და ანა გოგოლაძის, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილება.

ნინო ვარდოსანიძის განმარტებით, ზემოაღნიშნული ფაქტის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, 2024 წლის 27-28 ნოემბრის წერილობითი კორესპონდენციით თავად აცნობეს ირაკლი ხელაძემ, აკაკი ალადაშვილმა და ვლადიმერ ბოჟაძემ და ითხოვეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, მათი როგორც საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა.

მომხსენებლისვე მითითებით, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილ იქნა სოფიო ჯაფარიძის, საბა ბუაძის, ცოტნე კობერიძის და ანა გოგოლაძის წერილობითი კორესპონდენცია, რომელთა თანახმადაც, საკრებულოს მითითებულმა წევრებმა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, წერილობითი განცხადებებით მიმართეს პარლამენტის თავმჯდომარეს უფლებამოსილების მოხსნის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ აქვე დასძინა, რომ საკრებულოს წევრს - ზაზა თავაძეს, რომლის უფლებამოსილებაც საქართველოს პარლამენტის მიერ ასევე ცნობილ იქნა ზემოხსენებული დადგენილების საფუძველზე, არც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის და არც საქართველოს პარლამენტისთვის არ მიუმართავს პირადი განცხადებით უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.

ნინო ვარდოსანიძის განმარტებით, წარმოდგენილი კორესპონდენცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით" გათვალისწინებული შემდეგი პროცედურების დაცვისა და განსაზღვრული პროცედურული ღონისძიებების შესრულების უზრუნველსაყოფად დაეწერა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 39-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საჯარო მოსამსახურეს, გარდა საქართველოს პრეზიდენტისა, საქართველოს პარლამენტის წევრისა და საქართველოს მთავრობის წევრისა, არ აქვს უფლება, ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს (გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი ან საქართველოს თავდაცვის ძალების რეზერვში საქმიანობისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პირის მიერ სამედიცინო ან საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ან საავიაციო სფეროს სახელმწიფო ან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოში განხორციელებული საქმიანობისა, აგრეთვე საზღვარგარეთ საერთაშორისო ორგანიზაციაში არსებულ თანამდებობაზე საქმიანობისა, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო პარტნიორობის ან/და სამშვიდობო ოპერაციის მიზნების შესასრულებლად). საჯარო მოსამსახურეს არ აქვს უფლება, ეკავოს სხვა თანამდებობა რომელიმე საჯარო დაწესებულებაში (გარდა საქართველოს თავდაცვის ძალების რეზერვისა) ან კერძო სამართლის იურიდიულ პირში, ან იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს ან ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში. საჯარო მოსამსახურის მიერ შეთავსებით ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის საჯარო მოსამსახურეები არიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო მოსამსახურე, პროფესიული საჯარო მოხელე (შემდგომ – მოხელე) და საჯარო სამსახურში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, აგრეთვე ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირები.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინში „თანამდებობის პირი“ იგულისხმება მათ შორის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ამავე ორგანული კანონის 42-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება არ აქვს იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი.

ამავე ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ დაიკავა ამ

კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა.

ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში ან არღვევს ამ კანონით განსაზღვრულ თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით არკვევს გაცდენის მიზეზს ან ამოწმებს/გამოითხოვს ინფორმაციას თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დასადგენად. თუ დადასტურდა, რომ გაცდენის მიზეზი არასაპატიოა ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი არღვევს თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია ამზადებს დასკვნას და წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის/თანამდებობის პირისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ძალაშია შესაბამისი ვადის (6 თვის) გასვლის/თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან.

ამავე ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" (შემდგომში - „რეგლამენტი") მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რეგლამენტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თუ საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობს საკრებულოს მუშაობაში ან არღვევს კანონით განსაზღვრულ თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია არკვევს გაცდენის მიზეზს ან/და დაუყოვნებლივ ამოწმებს/გამოითხოვს ინფორმაციას თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დასადგენად. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია შეუთავსებლობის საკითხზე დასკვნას უახლოეს სხდომაზე წარუდგენს საკრებულოს. თუ დადასტურდა, რომ გაცდენის მიზეზი არასაპატიოა ან საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი არღვევს თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს საკრებულო იღებს გადაწყვეტილებას საკრებულოს წევრისთვის/თანამდებობის პირისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ძალაშია შესაბამისი ვადის (6 თვის) გასვლის/თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ზემოაღნიშნული სამართლებრივი პროცედურებისა და საკრებულოს წევრთა მიერ წარმოდგენილი პირადი განცხადებების გათვალისწინებით იმსჯელა და ერთხმად გადაწყვიტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხდომაზე უნდა განიხილოს: ირაკლი ხელაძის, აკაკი ალადაშვილის, ვლადიმერ ბოჟაძის და ზაზა თავაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხები.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ასევე ერთხმად აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია შეიმუშავებს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სხდომაზე განხილვის მიზნით, საკითხებთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნებზე, დანართის სახით წარუდგენს:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ირაკლი ხელაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ განკარგულების პროექტს;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - აკაკი ალადაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ განკარგულების პროექტს;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ვლადიმერ ბოჟაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ განკარგულების პროექტს;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ზაზა თავაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ განკარგულების პროექტს.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		ნინო ვარდოსანიძე
სხდომის მდივანი		ნინო დანელიშვილი